თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო

კომისიის თავმჯდომარის

ბრძანება №1

ქ. თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ.#7

12.10.2023 წელი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ 38-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ მე-15 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვროს 5 (ხუთი) წევრით, შემდეგი შემადგენლობით:

1. **ხათუნა ნიკოლაძე** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
2. **მზია ჭანტურიძე** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.(HR).
3. **ბერიკა გრძელიშვილი** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
4. **დავით ბენიძე** - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
5. **მარეხი ლილუაშვილი** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .

მუხლი 2. დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - **ბერიკა გრძელიშვილი.**

მუხლი 3. კომისიამ საქმიანობა განახორციელოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: /ხათუნა ნიკოლაძე/